ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8161594

ნომერი: AR11169046

თარიღი : 10.11.2026

გაცემის თარიღი : 16.11.2026

გაცნობის თარიღი : 17.11.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ტბელ აბუსერისძის ქუჩა, N 5ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალიდა კურბანოვა პ/ნ 15001006754
- დმანისი ს. იაღუფლო

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
ვინაიდან სამსახურის 26/04/2023 წ. № 6433063 ბრძანებით (ს/კ № 01.17.12.005.065) შეთანხმებულია მრავალბინიანი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები (საოფისე, საცხოვრებელი) და მათი პროცენტული გადანაწილება, პროექტით გათვალისწინებული საოფისე ფართის საცხოვრებელი ფუნქციით ცვლილება არ არის მისაღები, აღნიშნული გამოიწვევს მოცემული ფუნქციების პროცენტული გადანაწილების რღვევას, დადგენილზე მეტი ბინა ერთეულის გაჩენით იცვლება ობიექტის ფუნქცია, ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მოცემულ ფუნქციურ ზონაში (სსზ-2) საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი მოთხოვნა ვერ საოფისე ფართის საცხოვრებელი ფუნქციით ცვლილებაზე, ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.